



წა სებერიანოს ლაბალონელი

ჟესხმისათჳს ყრმათამსა და ლაჯლომისათჳს ოფლისა კიცუსა გელა შესულასა მას მისსა ჟერუსალემ*

სირველსა მას სიტყუასა და-
 ლა-ვა(ცადოთ, ძმანო, და ამას
 მოვიდეთ: რამეთუ ოდეს ვნე-
 ბად ეგულებოდა შესუს, რა-
 ჟამს შეეახლნეს **ჟერუსალემდ**, მოვიდეს ბეთ-
 ბაგედ მთასა მას **ჟეთისხილთასა**, ოდეს-იგი
 მიავლინნა მონაფენი მისნი, და მოჰგუარეს მას
 კიცუი ვირისამ(მთ.21,1-7; მრკ.11,1-7). **წრა** თუ
 სხვსათჳს რაჲ კიცუსა მას ზედა ჯერ-იჩინა და-
 ჯდომამ, არამედ რადთამცა სიმდაბლითა მით
 ამჰარტავნებაჲ დაჴსნა და სხუად არარად იყო
 მისი იგი მას ზედა დაჯდომამ, არამედ რაჲ-
 თამცა დააცხრო კაცთა იგი სილალჴ, რომელ-
 ნი-იგი ეტლთა და ცხენთა ზედა ზუაობენ.

წმისთჳს იტყოდა კეთილად წინანარმეტყ-
 უელი, ვითარმედ: «გიხაროდენ ფრიად, ასულო
სიონისაო, რამეთუ ესერა **ჟეუფჴ** შენი მოფ-
 ალს, მჯდომარჴ კიცუსა ზედა»(ზაქ.9,9). **წა**
 რაჲსათჳს მოვალს კიცუთა, შემდგომად თქუა
 ხოლო, ვითარმედ: «მოსრას ეტლები **ჟფრემისი**
 და ცხენები **ჟსრაელისაჲ**»(ზაქ.9,10).

წნ ჰხედავა, ვითარ სიმდაბლით დააც-
 ხრობს ყოველთა მათ ამალღებულთა! და
 ვითარცა-იგი ვნებითა მისითა ვნებანი დაჴ-
 სნნა და სიკუდილითა სიკუდილი შეკრა და
 ჯუართა ყოველთა წინა-აღმდგომთა ძალთა
 არცხვნა, ეგრეცა ამით კიცუთა ეტლთა ზედა
 მსხდომარენი იგი დაამდაბლნა.

იტყვს წინანარმეტყუელი: «გიხაროდენ,
 ასულო **სიონისაო**, ქადაგებდ ასული ეგე **ჟე-
 რუსალემისაჲ!**»(ზაქ.9,9). «გიხაროდენ» და «ქადა-
 გებდ», რამეთუ მორწმუნეთა მათ კეთილთა
 არა ხოლო თუ მიღებად იმრთეებისა ნიჭი,
 არამედ სხუათაცა რადთა ახარონ და მისცენ,
 რამეთუ: «ესერა **ჟეუფჴ** შენი მოვალს მშუდო-
 ბით მჯდომარჴ კიცუსა ზედა». ზეთილად თქუა
 სიმშვიდჴ იგი, რადთამცა აჩუენა არა შეურაცხ-
 ებით ჩუენებაჲ იგი.

წნ არა თუ ვერ შემძღებელ იყო, რადთამცა
 აქუნდა ეტლები გინა ცხენები, რამეთუ იგი იყო

ჟეუფჴ ძალთად და **ჟხოლოდ-შობილი**, რომ-
 ლისათჳს თქუა წინანარმეტყუელმან: «ეტლნი
 იმრთისანი ბევრ წილ არიან და ათასეულნი
 წარუმართებენ მას»(ფს.67,17). **წრა** თუ ნაკ-
 ლულევიან რაჲ იყო ეტლებითა, რომელი-იგი
 მჯდომარე არს ქერობინთა ზედა; არა ნაკ-
 ლულევიან იყო ეტლითა, რომელმან-იგი შეაბ-
 ნის ქარნი ეტლად და განკვრევით აქცევენ.

წალათუ ვერ საკადრებელ არს ესე მსგავს-
 ებაჲ ქუეყანისაჲ ზეცისათა თანა და მისთავე
 ქმნულთა მისთჳსვე სახედ მოვიღებთ: ვითარ-
 ცა-იგი ჩუენ ვსხდით ცხენთა ზედა, ეგრე-
 ცა სუფევენ იგი ქართა ზედა, ვითარცა-იგი
წავით იტყვს: «იქცევიან იგი ფრთეთა ზედა
 ქართასა»(ფს.103,3); ვითარცა-იგი შენთჳს ეტლ-
 ნი, ეგრეცა იმრთისათჳს ქარნი. **წა** ვითარცა
 ჩუენ ეტლსა შევაბნით ცხენნი ოთხნი, ეგრეცა
 იმერთმან განაბნა ოთხნი ქარნი, ვითარცა
ზაქარია იტყვს: «ვიხილენ ცხენნი ოთხნი და
 ვთქუ: რაჲ არიან ესე, ოფალო? და მრქუა მე:
 ესე არიან ოთხნი ქარნი, რომელნი გამოვლენ
 პირსა ზედა ქუეყანისასა»(ზაქ.6,1-5).

წა ან, ძმანო, ვითარცა-ესე სოფლისა გან-
 გებაჲ და მეფისაჲ განაგებნ სარგებელსა ყოვ-
 ელთა გზათა ზედა, რადთამცა არა შებრკოლ-
 და საქმედ მისი, ეგრეცა იმერთმან დასხნა
 სარბიელად აერნი არა დაძუელებადნი, არცა
 დასაჴრწნელნი, დაუცხრომელნი და რომელთა
 მიავლინებს ამიერთა იმიერ და იმიერთა –
 ამიერ.

წნ იხილე ქმნულთა მათ იმრთისათაჲ არა
 ხოლო თუ ქუეყანასა ზედა, არამედ ზღუათა-
 ცა შინა. ჴულისხმა-ყავ ქართაჲ იგი სირბილი,
 რომელთაჲ, მე აღმოსავალითი დასავალად
 და დასავალითი აღმოსავალად, ავლენს იგი
 ნავთა და დასხმულ არიან მის მიერ, რომელ-
 მანცა შექმნა იგინი. **წა** არავის უფლიეს მათი
 წარმართებაჲ თჳნიერ მისა. **ჟსე** ჩუენ არა
 მდიდართათჳს ოდენ განაგო მას შინა ნავისა
 იგი სლვაჲ, არამედ გლახაკათჳსცა და ჟეუ-

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 132-140.

რაცხთა და ვაჭართათვსცა სარგებელად. **ნა** არავინ არს მამრკოლებელ. **სან-ლა-იცადე** შენ, კაცო, სახიერისა იმრთისა უშურველობა და მისი სიბრძნით განგება! ესელა მე ვთქუ, შენცა სცნა იგი.

ნა თუ შეუძლებელ იყო პოვნად, რომელმან მისცა ყოველთა კაცთა-რაათამცა ვერ მოვიდა იგი ეტლითა ძლიერითა და შუენიერითა, არამედ მოვიდა იგი სიმდაბლით, ვითარცა-იგი პირველ ვთქუ, რათამცა სილალჳ კაცთა დაჳსნა.

ნა, საყუარელნო, კიცუსა მას სახედ გვჩუენებდა. **ქამეთუ შოსე** დაწერა, ვითარმედ: «რომლისა ჭლაკნი არა განპებულ იყვნენ, არცა აღმოიცოხნიდეს, არა-წმიდათა თანა პირუტყუთა შერაცხილ იყავნო»(გამს.11,4). **ნა** ვირიცა არა იცოხნის, არცა ჭლაკნი განპებულ ასხენ, და შერაცხილ არს არა-წმიდათა პირუტყუთა თანა. **სეცა** სახედ გვჩუენა, რამეთუ შორის ერსა არა-წმიდასა შესულად იყო, რამეთუ იმერთი სუფევენ შორის წმიდათა.

ნა ვითარცა ცხენი დაიმორჩილის ზედა-მჯდომელმან, ეგრეცა იმერთმან დაიცვნის სულნი წმიდათანი, ვითარცა-იგი წინანარმეტყუელმან თქუა, ვითარმედ: «აჳჳედ ეტლთა შენთა ზედა და მჳედრობა შენი ცხორება არს»(ამბაკ.3,8).

სარწთვე სადამე იყო ცხენ ერთ მტრიობალ – წმიდა **სავლე** და არა უნდა მას აღლებად აღვრი სარწმუნოებისა და ჰწინიდა იგი დეზსა და ძოვდა იგი შუჳულსა შინა და მადლსა მას სახარებისასა ჰკრთებოდა. **ნა** ოდეს აღასხნა მას აღვრნი ყოველთა **ოფალმან** განკვრეებითა მით და მწყსიდა მას სიტყუთა, ვითარმედ: «**საულ, საულ**, რაჲსათვს მდევნი? ფიცხელ არს შენდა წინხა და დეზსა»(საქმ.9,4-5). **ნა** ესრწთ შემძლებელ არს **ოფალი** აღსხმად აღვრსა მას სარწმუნოებისასა და სიმართლისასა, რომელმან აღვრ-ასხნეს ყოველსა საქმესა ბოროტისასა და აღვრითა მით სიყუარულისათა სიძულილი წარდევნის.

ნა, ძმანო, აღვრმან ვითარ ორი სახჳ მოსცის საჳმარი: ერთი ესე, რამეთუ ზედა მჯდომელი მტკიცედ ზინ, და მეორედ, რამეთუ პირუტყუ იგი შუენიერად ვალნ და, თუმცა წარჳყარენ აღვრნი, შუენიერება იგი წარუწყმდის. **ვგრეცა** აღვრმან მან სარწმუნოებისამან არა ხოლო თუ განამტკიცნის, არამედ გან-ცა-

ამუენნის სულნი.

ქა უშუენიერჳს არს ჳორცთა, რომელნი სინმიდით დაცულ არიან, აღვრ-უსხმან გულის-თქუმასა! და რა უშუენიერჳს არს, რომელთა პირსა თვსსა აღვრ-უსხმან და აყენებს იგი სიტყუასა უშუერსა! ძალ-უც ეგევითარსა მას სიტყუად, ვითარცა **ნავით** თქუა, რამეთუ: «არა იტყოდის პირი ჩემი საქმესა კაცთასა»(ფს.16,4). **ნა** იპოვე შენ, კიცო, **ჩრისტჳსა** და შეინურე ზედა-მჯდომელი იგი არა თუ დამამძიმებელი, არამედ აღმაფართებელი. **ნა** ვიდრემდის ჩუენ **ჩრისტჳ** არა ვიტვრთით ყოვლითა ცოდვითა, ტვრთ-მძიმე ვიყვნით. **ჟოლო** ოდეს **ჩრისტჳ** ვიტვრთით, ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნით, ვითარცა თვთ იტყვს, ვითარმედ: აღილეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მჳედვარ და მდაბალ გულითა, რამეთუ უღელი ჩემი ცხებულ და ტვრთი ჩემი ფართო*(მთ.11,29-30).

ნა პირველსავე მას სიტყუასა მოვისწრაფოთ და ვითხოვოთ მაცხოვრისაგან, რათა შემდგომიცა გულისხმა-გყოს კიცუსა მისთვის, რამეთუ იტყვს მამათ-მთავარი, ვითარმედ: «გამოაბას ვენაჳსა საჳედარი მისი და რქასა ვენაჳისასა – კიც მისი»(დაბ. 49,11).

ნაჯდა **სესუ** კიცუსა ზედა, რომელი ზის ქერობინთა ზედა; ზეცას საშინელ ჳელმნიფებით, და ქუეყანასა ზედა სასურველ მადლისათვს; მალალთა ზედა ყოველთაგან შიშით და ძწოლით თაყუანის-იცემების და ქუეყანასა ზედა გამოცხადებით იქადაგების; ვითარცა ზეცას საშინელ შობა იგი მისი, ეგრეცა ქუეყანასა ზედა სასურველ აღმოცჳნება მისი; ზეცას ანგელოზთა ერნი უგალობენ, და ქუეყანასა ზედა ყრმანი აკურთხევედეს; ზეცას ქერობინთა და სერაბინთაგან დაუცხრომელად იდიდების, რომელი-იგი ჩუენცა მოგუესწავა **საიაღსგან**, რამეთუ ესმა, ვითარმედ დაუცხრომელითა პირითა უგალობდეს: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს **ოფალი** საბაოთ, რომლისა-იგი დიდებითა მისითა სავსე არიან ცანი და ქუეყანა»(ეს.6,3).

ნა მას ყრმანი ქუეყანასა ზედა უგალობდეს: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა **ოფლისადათა!**»(მთ.21,15) მაცხოვრენ ჩუენ, რომელი ხარ მალალთა შინა. **ნა** ლათუ მწვსთა გონებანი რომელთანიმე დაბრმეს, არამედ ჩჩვლთა უმანკოთანი ქმნულთა მისთან

* ასეა! – სინ. მრთ., გვ. 134, 25-26.

სულნი განათლდეს და აქებდეს. **ნა** მოხუცებულნი ადუმებდეს თვისთა უგუნურებითა და არა მოიჭნენს **ხაქარიადისი** იგი დაწერილი: არქუთ ასულსა მაგას **სიონისასა**: «აჰა მეუფც შენი მოვალს შენდა და ზე ზის კიცუსა ვირსა»(ზაქ.9,9).

ცნ რადასათვსლა სხუათათვს დაგინერა წინანარმეტყუელმან, **ჰ ჰურიანო**, ანუ ვისთვს ისწავეთ ესე: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა **აფლისადათა**? დალათუ ჟამი იგი შემოსლვისაჲ ვერ სცანთ, გინა თუ დაწერილი წინანარმეტყუელისაჲ, რომელ დაგისწავიეს, ვერ მოიჭსენეთ, ამათ ყრმათაგან ღათუ მოიჭსენეთ და იცანთ მეუფც და მიეგებვოდეთ; უკუეთუ არა, ნუ დაადუმებთ უსწავლელთა ყრმათა: რასა უმეტცს ღალადებენ წინანარმეტყუელისაგან და წერილისა?

ჟარისეველნი იგი უფროჲს ხოლო ამით ადუმებდეს, რამეთუ უძნდა გალობაჲ იგი მათი. **ჰოლო** ძალითა **იმრთისადათა** ამათი იგი შენამებაჲ თვისთა მით მედგრობითა მათგანვე ემხილებოდა, რამეთუ იგინი შჯულსა სწავლულ იყვნეს, წინანარმეტყუელთა წიგნი აღმოეკითხა და იცოდეს **აფლისა** მოსლვაჲ. **ნა** ვითარ იხილეს მათ ნათელი იგი მომავალი, განფიცნეს და გარდაიქცეს და მეუფესა ყოველთასა ექმნეს დაუმორჩილებელ.

ნა ვითარ იხილა **იმერთმან** მათი იგი სული გარდაქცეულად, და ოდეს-იგი სწავლასა მას სჯულისასა არა შეირცხუინეს, რომელი მისთვს მოასწავებდა, მაშინ აღახუნა პირნი მათ ყრმათანი და უფროჲსად უგალობდეს და იტყოდეს: «**ჰსანა**, ძეო **ნავითისო**»(მთ.21,15). **ნა** რომელთა-იგი ესმოდა, იწყლოდეს და ეტყოდეს **ესუს**: არა გესმისა, რასა ესენი იტყვან შენთვს? ხოლო **ესუს** ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა წერილი ესე, ვითარმედ: «პირითა ყრმათა ჩჩვლთა მწოვართადათა დაემტკიცოს ქებაჲ?»(ფს.8,2; მთ.21,16). **ესეტყვ** თქუენ: «დალათუ ეგენი ღუმნენ, არამედ ქვანი ღალადებდენვე»(ლუკ.19,40).

ცნ, ძმანო, უკუეთუ **ჰურიათაგანსა** ვისმე ესმოდის ესე ვითარი გალობაჲ და ჰგონებდეს უგუნურებით და თქუას: ესრცითი ესე ნამებაჲ და გალობაჲ **იმრთისათვს** იყოო და მან თვისთა თავისათვს იჩემაო, ჩუენცა თანა-გუაც სიტყვს მიგებაჲ და მოჭსენებაჲ წერილისაჲ, რომელი-იგი მისთვს თქუმულ არს: «**აფალო**, **აფალო** ჩუენო, ვითარ საკრველ არს სახელი

შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა!»(ფს.8,1; 8,9) აქა განშორებაჲ ახლისა შჯულისაჲ ძუელისაგან, რამეთუ ძუელი შჯული და მსახურებაჲ და კაცთაგან დიდებაჲ იგი **იმრთისაჲ** ერთსა ხოლო ადგილსა აღესრულებოდა, რომელ-იგი თქუა **ნავით**: «განცხადებულ არს **სურიასტანს** **იმერთი** და **სრაელსა** ზედა დიდ არს სახელი მისი»(ფს.75,1). **ნა** წარმართთა არღა ქადაგებულ იყო და ეცნობა, და ოდეს-იგი ერთსა ადგილსა აღესრულებოდა, ესე თქუა **ნავით**.

ჰოლო რაჟამს სახარებაჲ ძისა **იმრთისაჲ** მიმოდაფენად იყო ყოველსა ქუეყანასა, მანვე ნეტარმან **ნავით** მომავალისა მისთვს პირველვე დაწერა და თქუა: «**აფალო**, **აფალო** ჩუენო, ვითარ საკრველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა!»(ფს.8,1) და შემდგომიცა იგი გულისხმა-ყავ: «რამეთუ ამალღდა დიდად შუენიერებაჲ შენი ზესკნელ ცათა»(იქვე).

ჯერ-არს, რადათა უმეტცსცა მოვიჭსენოთ, ვითარ-იგი იტყვს საქმესა მოციქულთასა, ვითარმედ: «ამალღდა იგი თუალთაგან მათთა და ღრუბელმან შეინყნარა იგი»(საქმ.1,9). **ნა** «რამეთუ ამალღდა დიდად შუენიერებაჲ შენი ზესკნელ ცათა». **ნა** კუალად: «პირითა ყრმათა ჩჩვლთა მწოვართადათა დაემტკიცოს ქებაჲ».

ჟადასათვს ყრმათაგან ვერ-მე კმა-იყვნესა მწუისნი? – ამისთვს რამეთუ ფარისეველნი იგი და მნიგნობარნი შურით ჰგონებდეს დაფარვად მისსა მას დიდებასა და ყრმათა მათგან მტერნი იგი მხილებულ იყვნეს და დადუმნეს; რამეთუ შესულასა მისსა არა ხოლო თუ ყრმანი აქებდეს, არამედ რომელნიმე სამოსელსა წინა დაუფენდეს, და აღიძრა ყოველი **სერუსალემი** და მიეგებვოდეს.

ნა აღესრულებოდა შემდგომიცა იგი: «რადამცა განირყუნა მტერი იგი და შურის-მგებელი»(ფს.8,2). **ნა** რაჲ მე არს შურის-მგებელი? უმეტცსადრე გუნებაეს ცნობაჲ. – ესრცით არს, რამეთუ იყვნეს იგინი მართლისა მის სარწმუნოებისა მტერ და შჯულისა შურის-მგებელ, ძმანი **ესზაბელისნი**. **წითარცა-იგი ესზაბელ** რეცა აჩუენებდა **იმრთისათვს** შურის-გებასა და **იმერთსავე** ჰბრძოდა, რამეთუ უნდა მას **ნაბუთცისი** მოკლვაჲ და შესწამებდა ცილსა და იტყოდა, ვითარმედ **ნაბოთე** **იმერთი** გმოო(მ მეფ.21,19). **ნა** ვის-იგი ჰბრძოდა, რეცა მისთვს შურს-იგებდა და რეცა თუ სახიერებასა აჩუენებდა და მანკიერებასა აღასრულებდა.

ესრევე სახედ **ჰურიანი** ჰყოფდეს. **ცმისთვს**

თქუა: «რადთამცა დაჰჳსენ მტერი იგი და შურის-მგებელი»(ფს.8,2). **წა** კუალად პატივი იგი მისი თქუა ხოლო: «რამეთუ ვინილენთ ცანი, ქმნულნი თითთა შენთანნი»(ფს.8,3), რამეთუ ყოვლისა შემოქმედი მხოლოდ-შობილი ძმ იმრთისაჲ ქუეყანასა ზედა იჩუენებოდა, ვითარცა კაცი ჴორციელეებისათჳს, არამედ ზეცას იდიდებოდა პატივით.

წა კუალად: «რად არს კაცი, რამეთუ მოიჴსენო იგი, ანუ ძმ კაცისაჲ, რამეთუ მოხედო მას?»(ფს.8,4) ოდეს-იგი თქუა წინა საუკუნეთა მისი იგი პატივი, შე-ხოლო-უდგინა ჴორციელეება მისი. **ქამეთუ** ესრჳთ შემოქმედმან ცისა და ქუეყანისამან ძესა კაცისასა მოხედა(მდრ. **ფს.8,4**). **წა** რად-მე არს მოხედვად? – რამეთუ ვითარცა მკურნალმან მოხედნის, ეგრე მოხედა კაცთა მკურნალმან სულთა და ჴორცთამან, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: «არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა»(მთ.9,12). **წა** კუალად: «არა მოვედ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად»(მთ.9,13).

იტყვს: «დააკლე იგი მცირედ ანგელოზთა შენთა»(ფს.8,5). **ქამ-მე** არს ესე? რომელი-იგი კაცებაჲ შეიმოსა მხოლოდ-შობილმან. **წმი-სთჳსცა** **სავლე** იტყვს **ებრაელთასა** მას თავსა: დააკლე იგი მცირედ ანგელოზთა შენთა(მდრ. **ზბრ.2,9**). **წა** თქუა: ხოლო ვხედავ ან **ესუს** ვნებითა მით და სიკუდილითა(იქვე). **წნ** ვითარ გამოაჩინებს სიტყუასა და არა ტყუვილ არს ჭეშმარიტი!

ჴევიდა **ესუ** **იერუსალემდ** და ყრმათაგან იდიდებოდა, რომელი დაიცავს ჩჩვლთა, და აღახუნა პირნი მათნი, რომელნი ვერღა შემძლებელ იყვნეს გალობად. **წა** აღესრულებოდა წერილი, ვითარმედ: «განცხადებაჲ სიტყუათა მათ შენთაჲ განმანათლებელ არს და გონიერ ყვნის ჩჩვლნი»(ფს.118,130), რადთა მხილებულ იყვნენ ყრმათა ჩჩვლთაგან მოხუცებულნი. **წა** მკითხველნი შჯულისანი უვარ-ჴყოფდეს, წინანარმეტყუელისასა იკითხვიდეს და ვის-თჳს-იგი წინანარმეტყუელნი ასწავებდეს, მას ვერ სცნობდეს.

წამოვიდა ყრმათა უმანკოთაგან უმანკოებაჲ და ემხილა გონებაჲ იგი მათი სიცრუვისაჲ. **ჴევიდა** **იერუსალემდ** უმანკოდ იგი ქებულად უმანკოთაგან. **წა** შე-ვე ეგრე-ჴგვანდა სახიერსა იმერთსა, რადთამცა მგალობელნიცა უბინონი ჴქონდეს, რამეთუ ბუნებით უბინონი იყვნეს ყრმანი იგი. **წა** ღათუ ვინმე

აცილობდეს მათსა მას უმანკოებასა, არამედ თვთ მაცხოვარი იტყვს, ვითარმედ: «უკუეთუ არა მოიქცეთ და არა იქმნეთ, ვითარცა ყრმანი უბინონი, ვერ შეხუიდეთ სასუფეველსა იმრთისასა»(მთ.18,3).

წნ ჯერ-არს ჩუენდა, რადთა ყოვლისაგანვე სიცრუვისა უბინო ვიყვნეთ და უბინოებით უგალობდეთ ჴრისტესა, რამეთუ იგი მხოლოდ უბინო არს, რომლისათჳს იტყვს **სავლე**, ვითარმედ: შე-ვე ეგრე-ჴგვანდა მღდელთ-მოძღუარი წმიდაჲ, უბინოდ, უმანკოდ და განშორებული ცოდვისაგან(ებრ.7,26).

წსრჳთ შევიდა ქალაქად მეუფე **ესრაელისაჲ**, რამეთუ იტყვს: «აჴა მეუფე შენი მოვალს შენდა»(ზაქ. 9,9; მთ.21, 5; ინ.12,15). **წა** ოდეს გესმეს **იერუსალემი** სამეუფოდ ჴრისტესი, ნუ განჴყოფ მეუფესა მას, რამეთუ ერთი არს მეუფე მამაჲ; და ოდეს სთქუა მეუფედ მამაჲ, ნუ განჴყოფ ძესა, რამეთუ მამისაგან სცან ძმ; და თუ სთქუა ძმ მეუფედ, ნუ განაშორებ მამასა, რამეთუ ძისაგან გულისხმა-ჴყავ შენ მამაჲ. **წა** რამეთუ ერთი სუფევაჲ მამისაჲ და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ არს.

წნ, ძმანო, გულისხმა-ყავთ, რამეთუ წინანარმეტყუელნი ჴრისტესა ქადაგებენ, მეუფესა **ესრაელისასა**: მხიარულ იყავ, ასულო **სიონისაო**, რამეთუ ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მაცხოვარი(ზაქ.9,9). **წლოლო** **ოფალმან** თჳსი დიდებაჲ მამისა მიმართ შენირა და იტყოდა: «ნუ ჴფუცავთ **იერუსალემსა**, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ»(მთ.5,35). **წრა** თუ «მამისაჲო», არამედ «მეუფისაჲო», რამეთუ ჴელმწიფებაჲ იგი დაფარა და არა ერთობისაჲ განაქარვა და რამეთუ მხოლოდ-შობილი ძმცა მეუფე არს და აქუს სუფევაჲ საუკუნოდ საუკუნესა თანა დაუსრულებელსა, რამეთუ იტყვს: «სუფევაჲ შენი სუფევა არს ყოველთა ზედა უკუნისამდე და უფლებაჲ შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა»(ფს.144,13). **წმას** იტყვს მამისათჳს წერილი და მასვე – ძისათჳს: ერთ არს სუფევაჲ მათი.

წლოლო ან მამისაჲ ვთქუათლა, რადთა ეგრჳთ აღვასრულოთ სიტყუისა იგი ძალი. **წრა** თუ ესე წინანარმეტყუელებაჲ მამისა და სხუაჲ ძის, არამედ ესე თუ ძისაჲ მეგონოს, მამისაჲ ვქადაგო; და სხუაჲ თუ მამისაჲ მეგონოს, ძისაჲ გამოვიტყოდი, და ღაცათუ სიტყუამან დააცხროს დაუცხრომელი იგი ძალი და დიდებაჲ. **წა** რადთამცა არა თჳს-თჳს ვიტყოდე

მეუფებასა მას მათსა, ან ითქუნ მამისათვს: «სუფევაა შენი სუფევა არს ყოველთა ზედა უკუნისამდე და უფლებაა შენი ყოველსა შორის თესლსა და თესლსა».

თა კუალად **ბანიელისგან** ძისათვს: «ვხედვედ და აჰა ესერა ღრუბელთა ზედა ცისათა მოვიდოდა ვითარცა ძმ კაცისა და მოიწია ვიდრე ძუელისა მის დღეთაჲსა და მას მიეცა პატივი და ხელმწიფებაჲ, და სუფევაჲ მისი სუფევა საუკუნე და ჯელმწიფებაჲ მისი თესლითი თესლამდე, რომელი არასადა წარვალს»(დან.7,13-14) და მას, რომელი-იგი მიეცა ჯორციელობისა მისთვის და რომელი-იგი აქუნდა ჯელმწიფებით, მიაქუს ჯორციელობისათვს, ვითარცა იტყოდა: «მადიდე მე, მამაო, დიდებითა მით, რომელი მაქუნდა შენგან წინა სოფლის დაბადებისა»(ინ.17,5).

ქამეთუ პირველი იგი დიდებაჲ აქუს და ახალი იგი მიაქუს ჯორციელობისა მისთვის, რამეთუ იტყვს: «ითხოვენ ჩემგან და მიგცნენ შენ წარმართნი»(ფს.2,8). ოის ეტყვს, ვითარმედ ითხოვეო? – მას, რომელმანცა თქუა, ვითარმედ: «მე დავდეგ მეუფედ»(ფს.2,6). ბაიწერა ესე პირველვე წინაწარმეტყუელისაგან ვიდრე მოსლვადმდევე და ჯორცთა შესხმად. წრა თუ ეტყვს მას ჯორცთამდე: «ითხოვენ ჩემგანო», რამეთუ აქუნდა მას მის თანა დიდებაჲ იგი და ჯელმწიფებაჲ, არა თუ ოდეს მოვიდა, მაშინ მიილო ჯელმწიფებაჲ სოფლისაჲ.

სმინე **სოვანწსი**, ვითარმედ: «სოფელსა შინა იყო და სოფელმან არა იცნა იგი; თვსთა მოვიდა და თვსთა არა შეიწყნარეს»(ინ.1,10-11), გარნა აქუნდა მას ჯელმწიფებით და მოაქუს მას ჯორციელობისა მისთვის.

აკუეთუ ესე შეურაცხება რამე ეგონოს მხოლოდ-შობილისათვს, რომელი-იგი ითქუა, ვითარმედ «ითხოეო», ისმინე ან, ვითარ-იგი იმერთი სთხოვდა კაცთა. სნებავსა ძიებაჲ? და ჰგონებ დამცირებასა ძისასა მამისა მიმართ თხოისა მისთვის. სიჩუენო, ვითარ-ლა იმერთი ითხოვდა კაცთაგან, იკადროლა მერმე თქუამად: რაჲ-მე ჰყვნეა, რომელთაგან ითხოვს უფრო, ვიდრე რომელი-იგი ითხოვს იმერთი უმცრო.

სმინე ძუელისაგან შჯულისა, რამეთუ იტყვს: «ან, **სრაელ**, რასა ითხოვს შენგან **ოფალი**? – არამედ რაჲთამცა გეშინოდა შენ მისგან»(2 სჯ.10,12). აკუეთუ თხოვდა იგი სახელ-ძვრ გიჩს, ვითარ იმერთი კაცთაგან

ითხოვდა შიშსა მაშინ? ან თხოვდაცა იგი არა თუ ლიქნისაჲ არს, არამედ ჯორციელობისა მისთვის დადებული მადლი. «ითხოვენ ჩემგანო», რომელი აქუს ჯელმწიფებით, მიაქუს მას ჯორციელებისა მისთვის, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელი: **ოფალო**, **ოფალო** ჩუენო, დაგუბადენ ჩუენ, არა თუ სხვსა ვისნი იყვნეს, არამედ ყოველნი შენდა მონა.

სსრტცა ძმ, ყოველთა **ოფალი**, სთხოვს ჯორციელობისათვს. აკუეთუ «ყოველი მისა მონა», რად სთქუ, ვითარმედ: «დაგუბადენ ჩუენ?» ან ჩუენებით ძეცა ვამსგავსო და ვთქუა: უკუეთუ ვისმე ყანაჲ უცნ უქმარი და უნაყოფო და ეკლოვანი და კუალად ქუეყანაჲ კეთილი და მოაქუნ ნაყოფი, შე-სამე-ურაცხიენ უნაყოფო იგი ვითარცა სხუაჲ? ეგრეცა იმერთმან: ყოველივე შექმნული მისი არს. სარნა რომელთა საქმენი უნაყოფონი ჰქონდენ, შერაცხილ არიან მისა ვითარცა-იგი უნაყოფო. სმისთვისცა ყოველთა შემოქმედმან იმერთმან იხილა ნათესავი კაცთაჲ ქუეყანასა ზედა უნაყოფოდ, წარავლინნა მოციქულნი. თა ვითარცა-იგი ჯარნი ორნი შეაბნიან და საშოვალ მათსა საჯნველი, ეგრეცა **ოფალმან** ნამავლინნა ორნი მოციქულნი და შოვა მათსა ჯუარი, რაჲთა აღმოაბნევდენ იგინი გონებათა, რომელთანი-იგი იყვნეს ვითარცა ქვანი, და ჰყოფდენ იგინი ყოველთავე შვილ იმრთისა, ვითარცა თქუა **სოვანე**, ვითარმედ: «შემძლებელ არს იმერთი აღდგინებად ქვათაგანცა შვილად **სბრაჰამისა**»(მთ.3,9).

ოითარცა-იგი მუშაკმან ყანაჲ ურგები და განრყუნილი პირველად ცეცხლითა მოწვს და ამისა შემდგომად ძირი იგი საჯნველითა აღმოჰფხურის და განარჩიის, ეგრეცა იმერთმან იხილა ქუეყანაჲ ესე განრყუნილი კერპთაგან, მოჰფინა ცეცხლი და მოწუა; არა თუ ქუეყანასა წუვიდა, არამედ მას ზედა ეკალნი, რაჲთამცა მას ზედა ურწმუნობაჲ იგი წარწყმიდა. თა ყოველნივე განკრძალულნი წარუდგინნა მამასა.

ბალათუ განვავრძვე სიტყუაჲ ესე, არამედ ჩუენისავე აღშწნებისათვს ან პირველსა მას მოვიდეთ, ოდეს შევიდოდა სესუ სიმდაბლით **სერუსალემდ** და ჯერ-იჩინა კიცუსა დაჯდომად.

თა თუ დაჯდა კიცუსა ზედა, არამედ სიმრავლწ იგი ერისაჲ დაუფენდა სამოსელსა. ზეთილ და სასურველ და ღირს პატიოსნისაჲ

მის, რომელნი შემძლებელ არიან მისა პატივისცემად, რამეთუ იმერთი არა თვისსა ჳელმნიფებასა ჰხედავს, არამედ ძალსა, რომელნი პატივ-სცემენ.

უერვინ შემძლებელ-არს ღირსად პატივისცემად მისა, ვითარ-იგი ჯერ-არს; დაღათუ ცაჲ და ქუეყანაჲ და ანგელოზნი და ყოველნი დაბადებულნი ენა იქმნენ, ვერ შემძლებელ იქმნენ დიდებისა მიცემად იმრთისა, ვითარ-იგი ჯერ-არს.

წნ რაჲთამცა ორგანვე არა ვცოდეთ და შოვა ვიდოდეთ, და ნუცა კუალად სიღრმისა მისთვის სარგებელსა ყოვლადვე ვეველტოდით, ვადიდოთ ჴრისტჳ, არა თუ რავდენ-იგი ზედაგუაც, არამედ რავდენცა შეუძლოთ, რამეთუ იმერთი არა სიტყუასა ჰხედავს, არამედ გონებათა.

წაჯდა კიცუსა, რომელი ზის ზეცისათა მათ ეტლთა. წაუფინეს მას სამოსელი კაცთა. წნ ჯერ-არს, რაჲთა სამოსლისა წილ დაუფინეთ გონებანი და სულნი ჩუენნი. წნ დაუფინენ სამოსელსა თანა სულნი მომავალსა, კიცუსა ზედა მჯდომარესა, დაუფინე იმერთსა სული შენი, რაჲთა მას ზედა იხარებდეს, რამეთუ

იტყოდა მახარებელი: «განმზადენით გზანი ოფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი»(მთ.3,3; მრკ.1,3; ლუკ.3,4).

ჯერ-არს, რაჲთა გზათა წილ სულნი ჩუენნი დაუფინეთ წინაშე მისსა და ყრმათა მათებრ ბაიად და რტოები ხეთაჲ აღვილოთ და სიხარულით ვიქცეოდით წინაშე მისსა და ანგელოზთა ჳმასა, რომელსა ყრმანი უგალობდეს, და სიტყუასა წინაწარმეტყუელისასა დღეს ჩუენცა მათებრ უგალობდეთ და ვიტყოდით: «ოსანა – რომელ არს „მაცხოვრენ ჩუენ – მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა ოფლისაჲთა, შეუფჳ **სრაელისაჲ!**»(ინ.12,13).

წითარცა შევიდა მაცხოვარი ტაძარსა მას, ყოველი იგი მოფარდული და კერმის მსყიდელი გამოასხა შოლტითა. წნ ჩუენცა შევიმოსოთ ხატი იგი ნათლისაჲ და გამოვიხატოთ გულთა ჩუენთა ჯუარი, რაჲთა გუექმნეს იგი შოლტ და განასხას გონებათაგან ჩუენთა ყოველი უკეთურებაჲ და ვიქმნეთ ტაძარ სულისა წმიდისა, და ყოველნი ვადიდებდეთ შამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. წმენ.

